“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (ლენინგრადი) 2:2 (2:0)

თბილი. სტადიონი “დინამო”. 20 000 მაყურებელი.

18 ოქტომბერი.

მსაჯი : მ. სელცოვი (მოსკოვი).

გოლები: 1-0, მ. ბერძენიშვილი (40), 2-0, მ. ბერძენიშვილი (43 პენალტით), 2-1, ა. ფიოდოროვი, 2-2 (68), ვ. ფიოდოროვი (74).

“დინამო” თბ: დოროხოვი, შავგულიძე (კ), ნიკოლაიშვილი, ანიკინი, მინაევი, ჯორბენაძე, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ი. ბერძენიშვილი, სომოვი.

“დინამო” ლ: კუზმინსკი, კისელიოვი, დენისოვი, ეგოროვი, სმოლნიკოვი, ოშენკოვი (კუზმინი), სვეტლოვი, ვ. ფიოდოროვი, კრიაჟკოვი, ა. ფიოდოროვი, ბიკოვი.

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1936a&cl=8

დაამატა: ერლან მანაშევმა.

ორი “დინამოს” შეხვედრა

18 ოქტომბერს “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე.

თამაშობდნენ: ლენინგრადის “დინამო” და ტფილისის “დინამო”.

პირველი გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: მეკარე - კუზმინსკი; მცველები: დენისოვი და კისელევი; ნახევარ-მცველები: ეგოროვი, სმოლნიკოვი და ოშანკოვი (ოშენკოვი – რედ.); თავდამსხმელები: ბიკოვი, ა. ფედოროვი, კრიაჟკოვი, ვ. ფედოროვი და სვეტლოვი.

ხოლო მეორე: მეკარე - დოროხოვი; მცველები: შავგულიძე და ნიკოლაიშვილი; ნახევარმცველები: ანიკინი, ბინაევი და ჯორბენაძე; თავდამსხმელები: სომოვი, ვ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბ. ბერძენიშვილი და პანინი.

თამაშს სტუმრები იწყებენ: ტემპი თავიდანვე ნელია. ქარიანი ამინდი, უთუოდ, ორთავე გუნდს უშლის ხელს.

დამთავრებას უახლოვდება თამაშის პირველი განყოფილება და შედეგი ჯერ კიდევ არ სჩანს. იკრებენ ძალას ტფილისელები, ანვითარებენ ტემპს, იყენებენ მოხდენილ კომბინაციებს და თამაშის პირველი განყოფილების დამთავრებამდე 4 წუთით ადრე მ. ბერძენიშვილი ლამაზი დარტყმით პირველ ბურთს ახვევს ლენინგრადის “დინამო”-ს ბადეში.

და აი არ გასულა ერთი წუთი, რომ მეორე საჯარიმო ბურთი (“პენალტი”) კვლავ ლენინგრადელების ბადეშია.

2:0 - ტფილისის სასარგებლოთ - ასეთია თამაშის პირველი განყოფილების შედეგი.

შეიძლება ითქვას, რომ თამაშის მეორე განყოფილება ძირითადათ ლენინგრადელებმა ჩაატარეს. არ მართლდება მოლოდინი. არ მართლდება ფეხბურთის მოყვარულთა "წინასწარმეტყველებანი". ლენინგრადელები ასე ადვილათ არ სთმობენ თამაშს. ისინი შესანისნავ ტემპს ანვითარებენ და შედეგსაც აღწევენ: ტფილისმა მეორე განყოფილების მე-20 წუთზე მიიღო თავის კარებში პირველი ბურთი, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ - მეორე.

ამის შემდეგ თამაშის შედეგი აღარ შეცვლილა. (2:2).

"ახალგაზრდა კომუნისტი", 20 ოქტომბერი, 1936 წ.